 გრძნობინებისა იმათთვის საჭიროება და სიკეთე სსზო-
 გადო თანსმობისა სამშობლო მამულში. სუ დავივიწყებთ,
 რომ აქ დროს ვიზანტია სუსტდებოდა და თითქმის
 იშლებოდა; ანაბებმა დაჰკარგეს ძალა: თურქნი ჯერ არ
 იყვნენ საშიშარნი. ბაგრატონთ აღმორჩინეს, როგორც
 შემოდ მოვიხსენეთ, ხსიათის ენერგია და ქართველნიც
 იქამოდ იყვნენ შესწავლულნი და განვითარებულნი,
 რომ გრძნობდნენ, რაში მდგომარეობდა მამულის ბედ-
 ნიერება და ამისთვის აძლევენ შემწეობას თავის მე-
 თესა. იმასთანავე ადგილობრივი ძივლობენი და მთა-
 ვარნი მოუძღურდნენ იმასთან ბრძოლაში; მარტო ლი-
 ზარით კვლარს გააწეობდა, თუმცა ისე შეძლე იყო, რომ
 იმას უწყსობის მოხდენა შეეძლო; დღეს არა სვალ წესი
 ისევე დაემყარებოდა... მასსადაც, რაც უნდა ცდილიყო
 მონომასი, საქართველოს დამცირებას კვლარ მოახერხებდა.
 თავის მანქანებით და ლიზარითის მიკერძოთა იმან მხლ-
 ლად უზატიონსება და უსკინიდილობა აღმორჩინა. ბაგ-
 რატმა საჭიროდ ჰხადა იმისი ნახვა. ეს იყო 1050 წელს.
 შემდეგ ორბელიანის დაბრუნებისა ტყვეობიდან, მეფემ
 უნდა მემკვიდრე გიორგი დაუტოვა ქუთაისში და თვითონ გა-
 ემგ სავრა ვიზანტიას: თან ეახლენ იმას თავისი დედა მარიაში
 და რამდენიმე განხინებული პირი. რა რომ ტრაპიზონის



მივიდა, იმან აცნობა მონომასს თავისი მისკლად დასურველი ნახვისა. ბაგრატს მიიწვიეს კოსტანტინეზოლს. ვიზანტიელნი მოგვითხრობენ, რომ იმან იმპერატორს ამ სიტყვებით უსაყვედურაო: „შენ იცოდიო ჩემი კანონიერი უფლება ტახტზე, მაგრამ ავით მომეკეცო; შენ დაარღვიე კავშირი და მეგობრობა ამისთანა შემძლე ქვეყანასთან — აზგეასთან (ასე უწოდებენ ვიზანტიელნი აფხაზეთს) და მიემხრო ჩემს მეშვეოთე ქვეშ-მრდომსაო“. ამ სიტყვებმა არ იმოქმედა კოსტანტინეზე; რომ სათნოება ეჩვენებინა ღიპარტისათვის, იმან დააყოვნინა ბაგრატს საბერძნეთის დედა-ქალაქში სამი წელი, თუმცა შემოწოდუდა ისა შესაფერის სიამოვნებით... ამასობაში შემოვიდა კოსტანტინეზოლში გიორგი მთაწმინდელი. იმან იგრძნო დიდი სისარული, რა რომ შეიტყო ბაგრატის იქ ყოფნა დედით... ეს ჰირი ისე ბრწუინავდა სიწმინდით საბერძნეთში და საქართველოში და ისეთი ღვაწლი დასდო იმან სამშობლოს საღმრთო სიტყვიერებას, რომ დიად საჭიროა წარმოკადგინოთ იმისი ბიოგრაფია.

IV

გიორგი მთაწმინდელი იყო ტომით მესხი. ის დაიბადა თრიალეთის მაზრაში 1014 წელს. იმისნი მშობელნი იყვნენ ქართველთ დარბაისელები, თუმცა არ ვიცით,



რომელს გეარს ეკუთნოდენ. მამა გიორგის იაკობი
 თავის დაქორწინებამდე იყო ელჩათ სპარსეთში. იმას ესკ
 რი ქალი.— უფროსი სიურმითვე შეწირულ იქმნა ღვთი-
 სადმი და მიეცა ტაძარის მონასტერში, რომელიც მდებარ-
 ებდა მესხეთში; იქვე შეიყვანეს შვიდის წლის გიორგი.
 ტაძარი დაიწვა და უმაწვილი შეიგზავნა სახულის ღვთის
 მშობლის მონასტერში, რომელიც იყო აღმსენებელი მე-
 სხეთში და რომელიც დავით აღმაშენებელისა და თამარ
 მეივის დროდამ დიდად განითქვა. აქ ცხოვრობდენ რრი
 უფროსი მამა იაკობისა, საბა და გიორგი; ეს გიორგი
 იყო პირველი კეზირი ანუ მწიგნობართ-უფროსი დავით
 კურუმალატის სასახლეში. ურმის აღზდა იტვირთა მამა
 ილარიონმა ვინმე თვალელმა.

კეზირი გიორგი მიიწვია საბერძნეთს ჯოჯიკის შვილ-
 მს ფერისმა, რომელიც თვითონ იყო ნათესავობით მესხი
 და იმას ეჭირა ძალადი ხარისხი პრეჭეკტობა დოროს-
 ტელისა. ფერისმა იქვე წაიყვანა პატარა გიორგიც. მაგ-
 რამ ფერისმა მიიღო მონაწილეობა აღრეულობაში ვასილი
 იმპერატორის წინააღმდეგ და ამისთვის იმას მოჭკვეთეს
 თავი. ფერისის მეუღლე ქართველთ დედათაგანივე წაყვან-
 ილ იქმნა ვოსტანტინეპოლს და იმასთან გაემგზავრა
 ჩვენი გიორგიცა. ეს შემთხვევა მოხდა 1026 წელს.
 გიორგი ჰკრძნობდა საიდუმლო მოწოდებას და ძალად
 ნიჭიერებას: ვიზანტიის სატასტო ქალაქში, სადაც იმან
 დაჭურ თორმეტი წელიწადი, ის შეუდგა ბერძნული ენისა



და მეციერების შეწავლას. იმის მიერვედს ნებე დაწესეს
 თავის მონაგარ-მამულში დაბრუნებულიყო. ამ მამულს
 ეწოდებოდა თუართსაბად, არ კიციოთ კი სად მდებარებდა.
 გიორგი იმს თან გაჭყვა. ამსრობაში საქართველოში მოკვდა
 იმისი მშობელი დედა. ღრმა მოსურვამ მამამ და ბიძამ
 მიიხმეს გიორგი და მეორედ მიაზარეს სასულის მონას-
 ტერში.

1039 წ. ოც-და-სუთი წლის გიორგიმ შეიმოსა მო-
 ნასტის სასეპარკელის თავის მოძღვრის ილარიან
 თვალელის ხელითა. იმან იღუმელ დაუტყვა სახული და
 შეუდგა გზას; მოიარა შავი მთა ანტიოქიის მასლობლად
 და შემდეგ დასახლდა სასწაულთა მთაზედ, სადაც დაჭეო-
 სამი წელი მოწაივად გიორგი დაუუდებულისა, ქართუ-
 ლისა. გიორგიმ ოც-და-ათის წლისამ შეიმოსა სქემს და
 1044 წ. მიჰმართა იერუსალიმს. რა რომ თავის უღბ-
 ნოში დაბრუნდა მოძღვრის შეგონებით უნდა გამკვარე-
 ბულიყო ათონის მთისკენ და იქ შესდგომოდა წმიდა
 ეფთვიძის შრომის განგრძობებას... ეს ეფთვიძე იყო იმი-
 სი მემამულე, სცხოვრებდა დაუუდებით ათონის მთაზე
 და განსაკუთრდა ივერიის მონასტერს, რომელიც დაგით
 ეურთავალატის დროს იყო დაფუძნებული ერისთავის თარ-
 ნიკე შესხისაგან, შემდეგ კონსტანტინეპოლის აღრუულე-
 ბის დამშვიდებისა უკანასკნელისაგან. დადება ივერიის
 მონასტრისა განითქვა მთელს საქრისტანოში. აქ წმინ-
 და ეფთვიძემ გადმოთარგმნა ბერძნულით ქართულად ძვე-

ლი ადთქმს, რომლის სელნაწერი აქამოდე დატულია იუკრიის მონასტრის ბიბლიოტეკაში. ეწოდებოდა მიიწვალა 1028 წ... გიორგი მთაწმინდეელმა დატულია ათონის მთა-ზე შეიღვი წელი და შრომობდა დღე-ღამე: სხვა-და-სხვა თქმულებათა გარდა იმან გადმოიღო ახალი მცნების წიგნები. მკვრიამ უნდა უკასხსოვდეს, რომ ასევე მცნება ქართულ ენაზე იყო უწინაღ: კრუჭის მონასტერში აქამოდეა ერთი ეგზეგეტიკური სხვაობა, დაწერილი სეკულურის ახლებითა 936—940 წ. სუმბათ მეფის დროს.

იუკრიის მონასტერში მთაწმინდეელმა სხვა უკავრი შრომატ. იტვირთა: ჯერ მიეცა იმან დეკანოზობა, შემდეგ სწავლისა წინამძღვრისა. გიორგიმ გადმოასრულა უკავრი ეკთვიშისა უმთავრესს ღვთის-მშობლის ეკლესიაში და აგრეთვე უკავრი სხვა განდევნილთადაც, რომელთაც დიდი მონაწილეობა მიეღოთ ეკთვიშის მოღვაწეობაში, მონასტერი იყო დაშკლებული და სკანდინავიის მონასტრებს იმის განხლებას. გიორგიმ მიჰმართა ვოსტანტინე მონასტრს, რომელმაც მიიღო ის ეკთვილ-მიდრეკილებით და სული გაუმართა ფულით.

ეს მოხდა 1050 წ. როდესაც ბაგრატ და იმისი დედა ვოსტანტინეობაში იმყოფებოდნენ. ჩვენ მოვიხსენებთ გიორგის იქ შესულა, იმის შემამულებთა მიიღეს გიორგი ეკთვილ-მოწიწებით; იმათგან დიდი ცნობილიყო იმისი ბრწინავლე სიწმიდე და მეცნიერებითი შრომა. მთაწმინდეელმა უძღვნა ღონისძიება-კურთხევა მარტომ დედოფალს



მკაცრის მონაზონობის მოღვაწეობის-გამო
 ამის სქემა. ამ უძაღ კოსტანტინეპოლში ცხოვრება
 ათსინქან ვინმე, ნათესავით ბოღემელი, რომელიც შთა-
 მოძვალობდა, როგორც საზოგადოდ იტყოდენ, სვი-
 მონ მოგვისაგან და აცთუნებდა უმეტეს ხალხს სხვა-და-
 სხვა სიცრუით და მანქანებით. მთაწმინდელმა იმას პირი
 დაუხშო და ამხილა. ბაგრატე ეკედრა გიორგის, რომ
 ეტვირთა ხარისხი ჭყონდიდელისა: ამ ხარისხთან იყო
 შეერთებული ეპისკოპოსის თანამდებობის გარდა ჭყონ-
 დიდში ანუ მარტვილში ღირსება უპირატესის კეზირო-
 ბისა და სამეფო საბოძვართა გარდამცემელისა. მაგრამ
 სოფლით ლტოლვილი არ ეძებდა სოფლის დიდებასა:
 იმან უარი უთხრა ბაგრატს. ბაგრატე გაემგზავრა საქართ-
 ველში და გიორგი ვი ივერიის მონასტრისკენ, სადაც
 მალე აღმოუჩნდა იმას ჭკელის საქმის შემთხვევა და
 გიორგიმ მოუზოვა ქრისტეს სარწმუნოებას ერთი სო-
 ფლის მცხოვრებნი, რომელნიც თავყანს სცემდნენ მარმა-
 ლოს სტატუსს, დედაკაცის სახის წარმომადგენელს.

როდესაც ბაგრატე კოსტანტინეპოლში ცხოვრებდა,
 რას უშვებოდა ლიპარიტი საქართველოში? ლიპარიტი
 განაგებდა მესხეთის მხარეს, და—სწახს თვით ქართლ-
 საც. ერთი სომხური მოთხრობა გვიამბობს, ვითომც
 ამ დროს ის ყოფილიყო შემოსილი კურთხვალის
 ღირსებით. ლიპარიტს უყავდა შემდეგ მეგობრები—
 ხორასანში თოგრილბეგი და ვიზანტიაში მონომახი. იმან



სცხო შირონი რუისის კელესიაში გიორგი მეძვედრეს
 და აიყვანა ტახტზე იმის დედის და მამის დის გურან-
 დუსტის თანხმობით. ეჭვი არ არის, რომ მძლავრობით
 მოასდინა ესა და რადგანაც გიორგი ჯერ ისევე ყრმა იყო,
 ამისთვის ღიპარითმა თვითვე იტვირთა იმისი ჯღზდა,
 ჩვეულებისამებრ მაშინდელის დროისა: ეს ჩვეულება მო-
 ითხოვდა, რომ ბატონის შვილები აღეზარდათ დიდე-
 ბულთა. თუ დასაჯერებელია თქმულება ქართლის მარტო-
 ხისა, რომელიც არის თანამედროე და არ უმხერს
 კეთილ-მიდრეკილის თვალთ ღიპარითსა, უკანასკნელი
 მკაცრად ეპურობოდა მესხეთის მხარეს. სულა კალმახელი,
 თვით ის, რომელიც ორბელიანს უწინ შეპურობილი
 ჰქუავდა, და იმასთან ყოველნი მესხნი დიად შევიწროე-
 ბულნი იყვნენ იმის უინიანის სასიათით. ერთხელ ის მო-
 იხელეს და შეიპურეს შვილით იოანითურთ; მეორე შვი-
 ლი ნიანია გაიქცა ანში, სადაც მოკვდა ბერძნების სამ-
 სასურში. დატყვევებულნი მამა-შვილნი ჩასსეს ჯერ კალმა-
 ხის სიმაგრეში და შემდეგ მიიყვანეს ასალ-ქალაქს, სა-
 დაც მიელოდნენ მეფის მოსულას. ბაგრატ მივიდა და
 დაჰსაჩუქრა გულს მოდგინება სულასი, რომელსაც უბო-
 ძა ციხეები მამულებითა; ღიპარითს ჩამოართვეს უმეტესი
 ნაწილი იმის სამთავრობისა და იმის საკუთრებად
 დასტოვეს მხოლოდ არგვეთის მაზრა იმერეთში. მარტო
 სიმაგრე კლდე-კარი იდგა შეუზოვრად და იმის მტკველთ
 უჩვენეს წინააღმდეგობა; მაგარამ ისინიც მალე დაჰმო-



ხილდნენ. უნდა ვაღვიაროთ, რომ სრულებით ღმერთს
 ღოდით, თუ ბავრატ ასეთს გულის სიღბილეს და
 ასეთს კანთ-მოყვარებას მიაგებდა ღმერთს, რომ
 მელმც უხომო უსამოვნება და მტერობა ახვეს
 შეგეს; ბავრატმა მიანიჭა იმას სრული თავისუფლება და
 მხრლოდ ჩამოართვა სიტყვა ერთგულებისა და უმუხთ-
 ლობისა. თვით იოვანე გავიდა საქართველოდამ და ვი-
 სანტიის სამსახურში ეძიებდა დიდებას. რომსურის
 ცნობით ვიცით, რომ იმას მიიღო გამგება გაჩიანისა
 და არმპონიის მსრუბის; მაგრამ უღალატა ბერძნებს,
 თუძცა არ ვიცით, რა იყო ამ ღალატობის მიზეზი. იოანემ
 მოიწვია თურქნი და ხელი შეუწყო მისდამი მინდობილ
 ადგილებთ აოხრებისათვის; შემდეგ თვითონ მიუძღვა ხალ-
 დიასე და ჭანეთსე ანუ ღაზასტანსე. ამის შემდგომ-
 ლობით ბავრატმა სება დართო იმას დაბრუნებასე სამშობ-
 ლოში, სხდაც მიიღო სპასალარის ღირსება და მსახურებდა
 სამეფოს გულწრფელად და გულსმოდვინედ.

შემდეგი ბუდი ღმერთისა არ ვიცით დატყუებრიტე-
 ბით და დაწვდილებით: გგონებთ, ისევე მიჰმართა იმას
 კოსტანტინეპოლს და იმპერატორის სამსახურს. სიყვმი-
 კე იმისა ბუნება და ხასიათი ისეთის თვისებისა იყო,
 რომ ღმრამ მოხუცებულობის სანუსტემდე ღმერთი-
 ტი ვერ შესძლებდა უქმობას და სამსჯდრო მო-
 დვაწეობის უარის ყოფას. საქართველოში კი იმას სამ-
 სახურის ადგილი აღარ ჰქონდა. ღმერთის სიკვდილს

სხვა-და-სხვა გვარ გვიამბობენ. ზოგნი ფიქრობენ, ვი-
 თომც ის იყო მოკლეული ბაგრატის ბძანებით. მაგრამ
 ეს აზრი უსაფუძვლად. ზოგნიც გვარწმუნებენ, ვითომც იმას
 ბოლო მოკლე ბერძნების ბრძოლაში არბ-აქლანთან.
 უიერო დასაჯებელია, რომ ლიპარიტს მოსწყინდა ბო-
 ლოს დროს აღელვებული და აღშფოთებული ცოცხება
 და მონაზონის სახე შეიმოსა, რადგანაც ეს ჩვეულება ხშირი
 იყო იმ უამდ და შემდეგაც, რომ ის სახელ-იწოდან ანტონად
 და მიიცვალა 1064 წ. კონსტანტინეპოლში, საიდანაც იმისა
 გვამი შესაიერის ღირსებით მოასვენეს, სენმარტენის
 აზრითა, ბეთანიაში, რომელიც თბილისის ახლო მდებარებს,
 სტეფანოსისა და წელთ-აღწერის სიტყვით ვიკატსში,
 რომელიც იყო ლიპარიტის საგვარო სასაივლო. ხვენ თვით
 ვადგევართ უკანასკნელ აზრსა. კაცხის მონასტერი, დიად
 შესანიშნავი მშენიერის არხიტექტურით, ძვეს არგვი
 თის მასრაში და ვიციით, რომ მხოლოდ ეს მხარე დარჩა
 ლიპარიტს საკუთრებად. ტენათში იშოვება სძმა სელასწყ-
 რი სასარება, გადმოტანილი კაცსიდაძ და ვადწყერილი
 სუცურის სელით ლიპარიტ ანტონის ბძანებით. ერთი
 შენიშვნა ამ სასარებათაგანისა აღრიცხავს კაცსა ლიპარი-
 ტის სახლის სამარსად და მიაწერს იმას დიდ მამულს, შე-
 წირულს, უეტველია, შემდეგ მოკლობელისაგან — 8070
 სულს უმას, ასს უშირველეს გვარს, სვათიბებს, სანა-
 დირო-სათევსო ადგილებთა და სსკათს.

1064 წელი უბედური იყო საქართველოსათვის: საქართველოს დაეცნენ თურქნი სელჯუკნი. თურქნი ჩვენ კიდევ მოვიხსენიებთ სულთანის თოგრილ-ბეგის დროს. თოგრილ-ბეგი მოკვდა და იმისი ადგილი დაიჭირა იმისმა ძმის-წულმა არზ-ასლანმა, რომელმაც მამინეკ აღმოიჩინა თავისი სასიათი და რომელიც სრულებით არ მიემსგავსებოდა თავის ბიძას. არზ-ასლანი იყო შეპყრული დამარღვეველის სულით და მან დაუტოვა ისტორიაში სისხლეკანი კვალნი. ასი-ათასის ჯარითა ის მოესია სპარსეთით სომხეთს და სომხეთით შემოვიდა თრიალეთის მხრებში, საიდანაც გაგზავნა გუნდი მსედრობათა სსკა-და-სსკა მესხეთის მხარისაკენ — შავშეთს, კლარჯეთს და თაოს. ამ დროს ბაგრატი სახლობით იმუოფებოდა თაოში. ის განერინა მტრის შეჯახებას და განეკლტო ქართლს. არზ-ასლანმა შემოარტყა ჯარი ახალ-ქალაქს. ახალ-ქალაქი მაგრად იდგა სამდღეს, შემდეგ კი უნდა დაჰმორჩილებოდა. თურქთ მძევინგარებას არა ჰქონდა საზღვარი: ისინი ჰმურსრავდნენ ყოველთა და ყოველსავე; მდინარე შეიღება სისხლით. არზ-ასლანი ამ გვარად მოქმედებდა ყოველგან. ქართველთ, სომხელთ და ვიზანტიელთ ისტორიკოსნი ერთგვარის შემადრწუნებელის სახით გამოგვიხატვენ იმის თვისებათა და იმის მოქმედებათა... ახალ-ქალაქით არზ-ასლანმა გაგზავნა მოციქული ბაგრატთან, რომელსაც აღუთქვა მშვიდობიანობა და მეგობრობა

მსოფლოდ ერთის ზირობით, რომ იმისთვის მიეთხოვე-
ბინა თავისი დის-წული. შემდეგ ამისა შეიპყრა მრავალი
ტყვე და დაკლით საკსე უკუიქცა სპარსეთშივე; გზით
აიღო სამშვილდე და მოუღო ბერძნებს სომხეთის დე-
და—ქალაქი ანი, რომელიც გადასცა აზულ-სეკერის შვილს
მანუჩარს, რომელიც ზემოდ ხსენებულს ავადღონების
გვარს ეუთნოდა. ის ქალი, რომლის ხელს არშ-ასლანს
სთხოვდა საქართველს მეფეს, იყო ასული ბაგრატის
დისა გურანდუხტისა; გურანდუხტა ჭყავდა ცოლად კახეთის
მეფის კვირიკის ძმას მეფეს სუმბათს. წელთაღწერა
არას გვიამბობს ბაგრატის დისწულის სიტუირეზე, მაგ-
რამ ეჭვი არა გვაქვს, რომ ის მშვენიერი უნდა ყოფილიყო:
მაჰმადის სჯულის აღმსარებელის მიზიდვა შექმლო მსო-
ფლოდ გარეგან ღირსებას. ბაგრატმა აცნობა ეს მოთხოვნა
ქალის ძამას, მაგრამ სუმბათი სრულებით უარზე დადგა.
ბაგრატმა ძალით შეასრულა არშ-ასლანის წადილი.
არ ვიცით რამდენი ხანი ცხოვრებდა არშ-ასლანი
ცოლთან. ვიცით მსოფლოდ, რომ როდესაც ის გაძღა
სიუვარულით, იმან ის მისცა ერთს თავის სამხედრო
მოხელეს.

უფრო შესანიშნავი იყო დაქორწინება ვიზანტიის იმ-
პერატორისა მიხეილ მეექვსისა დუკასი ბაგრატის ქალზე
მარიამზე. მიხეილი იყო შვილი თვით იმ კონსტანტინე
დუკასი, რომელსაც ჭყავდა ცოლათ ქართველივე ქალი,
კონებთ ასული ბაგრატის ძმისა დიმიტრისა. ვიზანტიის
სასახლეს ადრევე ჭყავდა მართა მხედველობაში. 1056



წ. იმპერატორიცა თეოდორამ გამოსთხოვა მკურნალობა რატს იმ განსრახვით, რომ თავის სულთ-მძღვანელობას ქვეშ აღესარდა. მართა გაემგზავრა, მაგრამ ამ დროს თეოდორა გარდაიცვალა. დედოფალი მარიამი და იმისი მოძღვარი გიორგი მთაწმინდელი იმყოფებოდნენ კონსტანტინეპოლში. უკანასკნელმა წინათვე წარმოსთქვა მოძავალი ბედი მართასი. მართლა და შეძლეგ 1065 წ. ის შემოვიდა კონსტანტინის დედა-ქალაქში როგორც იმპერატორიცა. ჩვენი წელთ აღმწერელი და კონსტანტინის ისტორიკოსნი დიდს ქებას შეასძენ მართას ღვთის მსახურებას, იმის ძალა-სხეობას და სრდილობას. მაგრამ იმ მანეთებზე, რომელნიც წარმოადგენენ მისეილ-დუკას ცოლითურთ ის არის წოდებული მარიამად და არა მართად. ბერძენებს ჰქონდათ ჩვეულება, რომ როდესაც იმათი იმპერატორები შეირთაუდნენ უცხო ტომთ ქალებს, უკანასკნელთ შეუცვლიდნენ სახელებს. ქორწინების უამრავსახლეში იმყოფებოდა, მარიამისა და გიორგის გარდა, გაგიკი უარსელი. გაგიკმა ასტეხა სარწმუნოებაზე ბაასი მთაწმინდელთან. წმინდა მამამ ამ შემთხვევაში აღმოიჩინა თავისი მეტნიერება: დაამტკიცა უცვლელობა მორტიქულთ დროიდგან სხუელისა საქართველოში. მარიამმა და გიორგიმ დიდი ხანი არ დაჰქვეს კონსტანტიაში. ისინი გაემგზავრნენ ანტიოქიას. დედოფალს სწადა განეგრძო თავისი მოგზაურობა იერუსალიმამდე, მაგრამ ანტიოქიის პატრიარქმა არ დართო ნება შიშისგამო სარაცია-

ნების მხრით. მაშინ რადგანაც მარიამი არა ჰხდდა დირ-სეულად თავის თავს, რომ მიმოველო ის ადგილები, სადაც მაცხოვარმა დაწყო თავისი ქვეყნიერი ცხოვრება და დაწვდარა სისხლი, ამისთვის იმას მანდრო გიორგის ფუელი, რომელიც იმას უნდა დაეროებისა დაუბრძოლილთათვის წმინდა ქალაქისა და მალესტინის შეჭირვებულ მოსახლეობისათვის... რადგანაც ხვენ უკანასკნელათა ვსედავთ მთაწმინდელს ამ მოთხრობაში, ამის გამო ცოტა უნდა შევდგეთ და შემოვიტანოთ აქ რაც რომ დირსეულია იმის ცხოვრებაში.

ქართველებს ადრევე დიდად ჰსურდათ თავიანთ მამულში ენახათ გიორგი, უპირველესი იმათი წარმომადგენელი საბერძნეთში. ბაგრატმა რამდენჯერმე მოიწვია ის წერილით. გიორგი დასთანხმდა მხოლოდ 1059 წ. შივის მოსვლე იოანე წარმოგზავნა ანტიოქიას ცხენებით და ყველაფრით, რაც გიორგი იყო: გიორგი ჩამოვიდა სასაწყალოთა-მთით და დაადგა გზას, თანსლებული თავის მოწაფით და ბიოგრაფით. რა რომ ეკატანტსე მოვიდა, იმან სცნო, რომ როგორც მუსოხლტაშია, აგრეთვე სხვა ადგილები, სადაც მისი გზა იდო, ეჭირათ თურქებსა. გიორგი უკუ იქცა სეკასტოს, საიდანაც წარემართა ეკსარიისკენ და შივის მღვინსკენ, რომლის კედლებს მოეკება ერთი ბაგრატის მწერალთაგანი. ის შემოვიდა ქუთაისს და ქუთაისით გაემგზავრა ქართლისკენ, სადაც იყოფებოდა ბაგრატის თავის სასლობით. მთაწმინდელმა

დაჭეო საქართველოში სუთი წელი. იმას დაუნიშნეს სა-
 ცხოვრებელად ორი მონასტერი — ნეკვი ქართლში და
 შატერის ლავრა მესხეთში. იმისი უოფენა საქართველოში
 დიად სასარგებლო იყო: ის აძლევდა უნებოთის სწავლის
 განაკვეთს ტახტის მემკვიდრეს გიორგის. ის ჭნერგავდა კე-
 თილ ცნობას უოკელსავე საზოგადოების წოდებაში. მეფე,
 კათალიკოზი, საერო და სასულიერო პირნი ერთგვარის
 უურადლებით მოისმენდნენ იმის ძალად საუბარს. გიორგი
 უხვად სთესავდა ჭკელის მოჭმედებას. გიორგის ჯრ დაუ-
 ვიწყენია თვით თავისნი ნათესავნიც. ორნი იმისნი ძმის-წულ-
 ნიშვილებით იყვნენ დიდად ღარიბნი და ბიძამ განჭკარგა იმათი
 სკე. იმ დროს, როდესაც სპარსეთის მხრით უნდა
 ატეხილიყო შარის დამტეში ჭეჭა-ჭუხილი, იმ დროს
 მთაწმინდელი იმყოფებოდა ახალ-ქალაქში, თავის სამშო-
 ბლო მამულში. იმან წინათვე იგრძნო იმისი მოახლება
 და ურჩევდა ეკელას თავის მორიდებას. თვით ის გაე-
 მგზავრა ერთ ჟამს მიხიელ დუგის საცოლოთი და შეკი-
 და კოსტანტინეპოლში. იმპერატორი წინათვე იყო
 უწყებული იმის მოსვლასზე ბაგრატის მოციქულის პეტრე
 პატრიკისაგან. იმპერატორი დიად მოსარული დარჩა ამ
 შემთხვევით. „მე დიდად კმადლობო ჩემს ძმას სევასტოს
 — სთქვა იმან — რომ ისევე წარმოემგზავნაო კაცი,
 ბრწყინვალე ძალის გონებითა და შესანიშნავი აურაც-
 ხელის ჭკელის-მოჭმედებით.“

მაგრამ გიორგის დღენი აღრიცხულნი იყვნენ. ეს განხდა ავით და ქსედავდა რა წინათვე თავის დასასრულს, გიორგიმ ისურვა იმპერატორის ნახვა, რომელიც ეწვია იმას თავის შვილით. გიორგიმ მიანდო იმის ეურად-ღებას სვე ოც-და-ათნის ქართველის უმაწვილებისა, რომელიც მიეყვანა თავის-თან. იმპერატორმა უბოძა ოქროს ბუჯა ანუ ოქმი ჰეტრე პატრიკს ივერიის მონასტრის ხელ-უხლებლობაზე და იქ უმაწვილების აღ-ზდაზე. გიორგი მიიტკვალა 1067 წ. ორმოც და ცამე-ტის წლისა, ქართულს მეტოქში, კოსტანტინეპოლს, იმის განუშორებელის მოწაფის ბიოგრაძის და ორის აზნაურის თვაღწინ. იმისი გვაში გადასვენეს ათონის მთაზე და დაასაფლავეს იქ, სხდაც განისვენებდა იმისი წინა-მოადგილე წმიდა ეფთვიმე. ქართული ეპკლეკია დღეს-სწაუღობს იმის სახსენებელს 27 ივნისს.

ეს ცნობები განსვენებულზე ჩვენ გამოგვრბეთ ქართუ-ლის წელთ-აღწერიდამ კი არა, რომელიც შეიტყავს მასზე მხოლოდ შემოკლებულს შენიშვნაებსა. ბიოგრაძია მთა-წმინდელისა დასწერა, როგორც ვთქვით, იმისმა მოწა-ფემ გიორგიმ ვინმემ. ეს შრომა იტვირთა იმან საზო-გადო მოთხოვნილებით და გიორგი-დაუუდებულისა და აზ-ნიეპისკოპოსის იოანე ჭყონდიდელისა, რომელიც იყო ძმა ბაგრატის მოციქულისა ვიზანტიაში. ბიოგრაძი წარმოგვიდგენს მთაწმინდელის ცხოვრებას ვრცლად, და-მშვიდებულის აზრით და კეთილ-მოწიწებით წმიდის სა-

სსოკრისადმი. ამ ბიოგრაფიიდან გამოჴერების ^{ქ. ბრეს-}
 სეს შემოკლებული ცნობა, რომელიც ჩაურთავს ^{ქართლის-}
 ცხოვრების ძირსწიულს თარგმანში. გიორგი მთაწმინ-
 დელ იყო უპირველესი პირი საქართველოს შვილთა
 შორის. საქართველოს ეკლესიისთვის ის იყო მაღალი
 წარმომადგენელი და მოსარჩლე. ის ჯერცლებდა ბერძ-
 ნებში კანონიერ ცნობაებს ჩვენ მსარჩლე. შემოგვაქვს აქ
 ერთ შემთხვევა: ერთ დროს ის ცხოვრობდა ანტიოქი-
 აში, სადაც მრავალთ ჭქონდათ უსაფუძლო ახრი ქართვე-
 ლებსე. იმით დაარწმუნეს პატრიარქი, ვითომც ქართული
 ეკლესია დაარსებულია არა მოციქულისაგან და ვითომც
 ამისგამო იმას არა ჭქონდეს უფლება საეუთარის ვათა-
 ლიკონის ფოლისა. გიორგიმ მოითხოვა ანდრია მოცი-
 ქულის ცხოვრების აღწერა, რომელიც იმას მოართვა
 თეოფილე-ქართველმა; ეს თეოფილე შემდეგ იყო ტარ-
 სის მიტროპოლიტად. მთაწმინდელმა დაუძეკიცა მუნ
 მყოფთა, რომ საქართველო არის გაქრისტანებული
 მოციქულის ანდრიასაგან, რომ საფლავა ერთას ათ-
 თორმეტთაგანისა და იმის თანამოგზაურისა, ესე-იგი
 სვიმონ კანანელისა იხუენების აფხაზეთში, სასელდობრ ნი-
 კოპსიაში; დაუძეკიცა გრეთვე, რომ სარწმუნოება საქართვე-
 ლოში ასე არისა დატული მწკალბელთ გაუღენისაგან, რომ
 როდესაც მართლ-მადიდებლობა შეირუა საბერძნეთში, ია-
 ნე გოთელი მოვიდაო მცხეთას, რომ აქ იმას მიელო მღვ-
 დელმთავრის კურთხევა. გიორგიმ მოიპოვა წარწინებული

დიდება უფრო სალიტერატურო შრომით. ის იყო გარკვეული
 თული თარგმანით სსკა-და-სსკა მონასტრებში და ქალა-
 ქებში. გართული დღე და ღამ ის სწერდა ხან
 და ხან თვითონვე ერთსა და იმავეს სამჯერ. ბიოგრაფი
 მიაწერს იმას ერთ ადგილს რვასა, მეორე ადგილს ჩვიდ-
 მეტ სულსაწერსა ანუ მანუსკრიპტსა. ესენი შემდეგ გადა-
 სწერს იოანე პატრიკმა, რომელიც იყო ცნობილი რე-
 გორც ძალადი მეცნიერი და მთარგმნელი პლატონისა
 და არისტოტელისა. იოანემვე შეადგინა სრული კატა-
 ლოგი მთაწმინდელის შრომათა. წმინდა გიორგის თარ-
 გმანებს საზოგადოდ ისეთი ფასი ედვა; რომ თვითთუ-
 ულს მონასტრის ჭსურდა საქართველოში ექონია იმათი
 პირები. რომელთაძე უკანასკნელთაგან ჩვენამდეც
 მოუწვია.

საქართველო ისე ბედნიერი არ იყო, რომ იმას ბაგრატის
 სიტყვებში სანგრძლივი მშვიდობიანობა ეკემოვნა.
 შიგ საქართველოში დაწინადა ეკლესა, მაგრამ სპარსე-
 თის მხრით კიდევ ასტყდა ჭეჭა-ქუსილი. არბ-ასლანი სა-
 მის წლის შემდეგ მეორედ მოაწედა ჩვენ ქვეყანას. იმას
 მოჭყავდა თან სუთასი ათასა (?) გაცი წეობა, რომელიც
 მიესია რახს, ჭერეთს და კასეთს. კახელებმა მოასწრეს მთებ-
 ში ასულა; იმათი მეფე ახსარტანი იძულებულიყო მტერს
 მისცემოდა; ამასთანავე იმან ასიამოვნა არბ-ასლანი სჯუ-
 ლის დატყუებით. არბ-ასლანი გაემგზავრა უშორეს და თან
 გაიღვენა ახსარტანის გარდა სომეხთ მეფე და თბილისის



ემირი. ეს შემთხვევა მოხდა 1068 წ. ვასრი გაკიდდა ირანს და დახანაგდა მცხეთის მასლობლად. აქედამ არზ-ასლანმა მხედრობის გუნდნი გაგზავნა სხვა-და-სხვა ქართლის მხარეებში და აგრეთვე იმერეთისკენ არგვეთში. წელიწადი იყო ნაყოფიერი; საქართველოს საზარელი სახე დაეღვა. ვეკლაფერი ამოწვეს და დამხვეს; დიდძალი ხალხი ქრისტიანი მოსწვევიტეს და დაატყვევეს. უოკლეგან ეყარა ადამიანის მძოგრები, რომელნიც ღებოდნენ და რეკნიდნენ ჭაერს. ,,ცხნად სხნდა, იტყვის ბიოგრაფი, რომ ღმერთი გესჭიდა ჩვენ ჩვენთა ცოდვათათვის. ცა აწვიმებდა სისხლის წვიმას; დღეს უფრად მოეფინა წყვდიადი ნისლი. ეს საკვირველება შენიშნულ იყო სხვა-და-სხვა ადგილებში.“ ამ სიტყვებით წელთ-ადმწერი უჩვენებს, როგორც სჩანს, კომეტას ანუ კუდიან კარსკლავს, რომელიც მაშინ იხილვებოდა ჭაერში. ამას ჭმოწმობს თვით წარწერა აფხაზეთის სოუქსუს ეკლესიაში; ამასვე გვიმტკიცებს მეცნიერი ჰროტიესლორი სავიჩი, რომელიც ამბობს, რომ მართლა და იმ დროს იყო კომეტა.

შემდეგ შემოდგომისა საუბედოდ, დადგა სასტიკი ზამთარი. მრავალნი იმათ შორის, რომელნიც მთებში შეიხიზნენ, სიცვიის გამო დაიღუპნენ. მტერს ეჭირა საქართველო, მაგრამ სულთანი-კი აქ არ იყო. ყარსით არზ-ასლანმა მიჭმართა შერთულს, სადაც თვითონაც გამოხდა და სიმკაცრე ზამთრისა. აქ ეახლა იმასა ლიპარიტის შვილი იოანე, რომელმაც მოსთხოვა მშვიდობიანობა

ბაგრატის სასულიერო. ან-ასლანმა ეს შირობა დაუდგა: ან-ასლანი ითხოვდა სარკს; ამ შირობით იოანე გაემგზავრა აფხაზეთში. სულთანმა არ მოუცადა პასუხს, რადგანაც წამთარი უფრო მატულობდა: ის გაემართა საქართველოსაკენ, აიღო თბილისი და რუსთავი, რომელნიც უბოძა განჯის მთავარს ფაღღონს, ახულ-სევერის შვილს და შემდეგ ამის წაჰვიდა სპარსეთს.

დადგა გაზაფხული, თოვლის სიმრავლისაგან მოტყუარნი ძალიან ადიდდა და როგორც კვარწმუნებს მატთან დასთქა დიდ ძალი ხაღსი. ფაღღონი აღარავისგან არ შიშობდა და სტანჯავდა მცხოვრებლებს თბილისის არემარეში. ეს ამბავი შეესმა ბაგრატს: ბაგრატი მოვიდა თავის საზაფხულსა სანჯარებულში. ფაღღონმა დასძრა ჯარი და დააბანაკა ისანის მინდვრად, საიდანაც იწუროს ახსრება ქართლისა. ბაგრატმა გაგზავნა ადგილის გასახსრეკად ლიპარიტის იოანეს შვილი ნიანი, ქვბულის შვილი, მურვან ჯაყელი და რამდენიმე აზნაური ცოტადენის მსედრობით მახლობლად წილკნის მთებისა. ისინი შეეკასნენ ფაღღონის მეუკანავე წუობას. ასტუდა ხსები. სპარსნი იძლივნენ და უკუქცეულნი ჩაცვიდნენ ხეგში, სადაც იმალებოდნენ აფხაზეთის მსროლელნი; მტერი სრულებით დამარცხდა. ფაღღონი თორმეტის ცხენოსანით ხლებული დაადგა წილკნის გზას, მასუკან მიუხვია არაგვს და გაემგზავრა ერწოსაკენ. ფაღღონმა შეიცვალა სასული და ეტყოდა მგზავრებს:



— მე ვარო გამოგზავნილი ფადლონისაგან და მიმავალად
სასინარელო ამბავი ხსნარტანთან. ჩვენ დავამარცხეთ
წუობა ბაგრატიანსა.

მაგრამ ფადლონი იცნეს. ის ჰპირდებოდა დიდ ვილ-
დონს, აღონდ-გი არ გაეცათ. დაპირება უარტყევს; მცხო-
ვრებნი შეგროვდნენ, დაიჭირეს ეპირი და გაისტუმრეს
კასეთის მეუკესთან. ბაგრატი იმ ჟამად იმყოფებოდა
ბოჭორმის ციხეში იორსე. ბაგრატიმ ამჟღა ის, რომ
თბილისი დაეთმო სითლარბისთვის ანუ სიდი-ელ-არაბი-
სათვის; თვითონ დაიკავა რუსთავი, ფარცხისი, აგარანი,
გრეგოლ წმინდა და კავასნი, გამოართო იმას ფულად
ორმოც-და-ოთხი ათასი დრახმანი და დაიჭირა ძმანათად
იმისი ძმისწული და სამი განჯის დიდებული. თვით
ეპირი განთავისუფლდა მხოლოდ სულთანის თხოვნით.
ფადლონი მანც არ დაწინარდა. იმან ისარგებლა ბაგრა-
ტის მოკვებით აფხაზეთში და დაიჭრა ჯერ კავასნი,
შემდეგ აგარანი; ამ საქმისთვის დასჯილ იქმნა.

ბაგრატიმ მოიწვია თავისი ცოლის ძმა რსეთის მეფე
დარგულელი ორმოცი ათასის (?) ჯარით და მიანდო რა
ქართული მხედრობა თავის შვილს გიორგის, წარგზავნა
ივინი განჯის საზღვრისკენ. განჯა ააოხრეს და მრავალი
ხალხი დაატყვევეს. შემდეგ დაბრუნებისა დარგულელმა
დატყუო რამდენიმე ხანი სტუმრად საქართველოში, გადა-
ვიდა ქუთაისში დის სანასაგად და ისევ უკუიქცა ქართლ-
ში, სადაც მეგობრულად და დიდის პატივით მიღებულ.



იყო ბაგრატისაგან ტინის-ხიდის ტყეში. ნადიმი და
შეჭევას არ შეწვევტილას თორმეტ დღეს. დადგა წამთარი
და დარგულელი გაეშურა თავის ქვეყანაში. როგორც
იმას, აგრეთვე იმისმა ამაღამ მიიღეს მდიდრული საჩუქ-
რები და პატივისცემით გავიდნენ.

ამასობაში, როგორც მატიაზე გვიამბობს, სულთანმა
წარმოუგზავნა ბაგრატს მოციქული საჩუქრებით და მოს-
თხოვა სარკი, ბაგრატმა თავის ძმრით აწვია ელხნი ძღვე-
ნითვე და ამითი აკმადა არა-ასლანი. ბერძნებთან კი თავის
ცხოვრების მიწურების ჟამს ბაგრატმა დაარღვია კავშირი,
თუცა არ ვიცით, რა იყო ამის მიზეზი. ვგონებთ, რომ
მიზეზი მისცა თვით ბერძნებმა და არა ქართველებმა, ამის-
თვის რომ ჩვენი ქვეყანა ყოველთვის ავასსა სდებდ
ვიზანტიის მიდრეკილებას და მეგობრობას.

V1

ჩვენ ვათავებთ ბაგრატის ცხოვრების აღწერას ანუ საჭა-
როთველას სურათისმეთვრთმეტე საუკუნეში. აი რა რიგად
გამოგვიჩვენებს წელთ-აღწერა უკანასკნელს ბაგრატის დროს.
„ბაგრატ იმყოფებოდა სამშვიდდის ველში. იგრძნო რა
ტივილი მუცლისა, ის გაეშურა მარბდას; სენი უძრე
დებოდა. გადიუკანეს ქართლს და თან ასლდენს მეძვე-
იდრე მისი და დიდებულნი. აქ იყვნენ მოწვეულნი სსვანისა
მთავარნი, დედა მეფისა ძმრისა, მეუღლე იმისი ბორჯა და ასუ-



ლი ძარბაში. თვით სიკედილის წინათ ბაგრატიმ დაწინაურდა
 გინა დიდებულთა გიორგი და შემდეგ მიუბრუნდა დედას
 და უთხრა:

„მე ვსწუნხარ მხოლოდ შენთვის. აღარც ერთა შენი
 შვილთაგანი არ არის ცოცხალი.“ ბაგრატი აღესრულა
 1072 წ. ნოემბერში ორმოც და თოთხმეტის წლისა. ბაგრა-
 ტმა იძუება ორმოც და ოთხი წელი. ერთ დროს იმასთან
 დაასრულა თავისი ცხოვრება თვით არმ—ასლანმაც. მიესი-
 რა თურქებს, არმ-ასლანი გავიდა ჯივუნის მდინარეს შვიდ-
 ასი ათასის კაციით და სამარეანდოს მახლობლად შემოერტყა
 რომელღაც სიმაგრეს. ის აქ მოკლეს საკუთარსავე კარავში.

გვამი ბაგრატისა დასაოფლავებს ჭეოხდიდის მონას-
 ტერში ანუ მარტვილში, რომელიც არის სამეგ-
 რელოში, ცხენის—წყლის მარჯვენა მხარეს და რომე-
 ლსაც აქვს მშენიერი მდებარება მდლობზე და საიდამაც
 ღელავს ვრცელი ველი შავ—ზღვამდე. მარტვილი დააფუ-
 მნა ბაგრატი მეოთხის შავამ ბაგრატი მესამემ. მარტვილი
 შეადგენდა კაძედრას შირველის სამეფო მწერალთა უფრო
 სისას ანუ ჭეოხდიდლისას, რომლის ღირსება და მოკალე-
 ობანი გამოვირკვიეთ ვიდეც თავის ადგილს. მარტვილის
 მონასტერი შეიცავს ძველს წარწერებს, მაგრამ არც ერთ-
 ში არ არის ნახელები ბაგრატის იქ დასაოფლავება. ეტვი არ
 უნდა გვჭონდეს ამაში: თანამედროვე წელთ-აღწერა და
 თვით ბიოგრაფია გიორგი მთაწმინდლისა დარწმუნებით
 გამოწმობენ ამ აზრის ჭეშმარიტებას.



ბაგრატ მეოთხე იყო დიად შესანიშნავი პირი ქართველთა შორის. მეთერთმეტე საუკუნემ გვიანდრმა ჩვენ საკმაოდ ცნობები იძლევა. იმისი ბიოგრაფია, შედგენილი იმისვე დროს, აგრეთვე ვიზანტიისა და სომხეთის ხრონიკები, რომლებზედაც დავაუყუძნეთ ჩვენ ეს მოთხრობა, დაწვლილებით გამოგვიჩვენებს იმის ხასიათს და მოღვაწეობას. ,, ბაგრატ განსხვავდებოდა ძველის გონიერებით, ცნობათა სიმდიდრით და გულ—კეთილობით. ბაგრატ იყო მოწყაღე ბრძლეულთათვის და უხვი დავრდომილთა და ღარიბთათვის. “ ამ სიტყვით აღგვიწერს ბაგრატს ქართული მატიახე. ზემოდ ხსენებულის ქაკტებით მკითხველმა უნდა იცოდეს რაც რომ ბაგრატმა საქმეები ჩაიდინა; იმან დაამშვიდა და დაამცირა საქართველოს დიდებულნი და დაუმორჩილა სამეფო უფლებასა; დასცა განჯის მთავარნი და თბილისის ეპირნი; მოითმინა ორი საზარელი კვეთება სპარსეთის მძინვარე სულთნის არა—ასლანისა და აღამაღლა სამეფო ისე, რომ გამოიხსნა ვიზანტიის დამოკიდებულებიდან. ბაგრატის დროდამ აფხაზთ—ქართველთ ნათესაობა დაემყარა მტკიცედ, ესე იგი იმან მოინადირა გამოჩენილი ადგილი უპირველეს იმ დროის სახელმწიფოთა არაში. ქართველნი იცნობებოდნენ გონიერების ნიჭით, სამხედრო ასოვნებით დამხნეობითისპატიოსნებით. ბერძენნი და თურქნი ეძიებდნენ იმათ მიზიდვას სამხარში და ქსანუქრობდნენ იმათ უმადლესის სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობებით. ამის გარდა უცხოეთსდთ მთავარნი და დიდებულნი ცდილობდნენ თავის დაკავშირებას



საქართველოს მეთევითან ჯ დიდებულებთან. ჩვენ კიდევ უნდა
 ნათ ამ მოთხრობაში რამდენიმე ამის მაგალითი. ბაგ-
 რატ მეოთხის წინამოადგილეთ მეცადინეობამ საბერძნეთის
 განათლების გავლენასე საქართველოში მოსცა ნაყოფი. უმა-
 წვილნი კაცნიიგ სავნებოდნენ სასწავლებლად კონსტანტინის დედა
 ქალაქში, რომელიც იმ დროს იყო უპირველესი ასპარეზი
 მეცნიერებისა. ისინი იყვნენ ქართულის სიტყვიერების
 დამფუძნებელი და შრომობდნენ როგორც საქართველოში,
 აგრეთვე გარეშე. უპირველესნი პირნი ჩვენს ლიტერატურაში
 იყვნენ დიდად პატრიკოზელი თვით კონსტანტინში. იმათ
 შორის უმეტესად აღმობრწუნებენ წმინდა ექვთიმე, გიორგი
 მთაწმინდელი და იოანე პატრიკი. ექვთიმემ და გიორ-
 გიმ გადმოსთარგმნეს ძველი და ახალი მცნება და
 შესაწორეს რაცა თარგმანნი იზოგებოდნენ იმათ
 წინაღ. იმათ ხელთმძვანგლობას ქვეშ და იმათის მაგა-
 ლითით მთელი გუნდი დაუღალავად მუშაკობდნენ და გად-
 მოაქვეყნდათ სამშობლო ენასე ურიცხვანი განმარტებანი
 საღმრთო კმნულებისანი. პატრიკი, რომელიც, როგორც
 გვიანობის გურიის შემოქმედში ხატის წარწერა, ეკუ-
 თნოდა კავკასიუმს გვარს და რომელიც გიორგი პირ-
 კელის დროს იყო წარგზავნილი აღსაზდელად საბერძ-
 ნეთში, რა უკუიქცა სამშობლოს, შეუდგა ბერძ-
 ნის ძილესოჲობის—პლატონისა და არისტოტელის—
 თარგმანს. მაშინდელთ საქართველოს მწერალთ რიცხვში
 პატრიკიმ ეკვლასე. მეტი ღვაწლი დასდო საერო ენას.

იმას განმშვენებენ ეს ესა. ძნელია აღვრიცხოთ, ამბობს
 ბრასე, ყოველი კვალი ბაგრატის დიდებისა, — კვალი
 აქამომდე დაცული სხვა და სხვა ჩვენს ადგილებში. ბაგ-
 რატ მეოთხის დროს აშენდა იმიერ და იმიერ საქართვე-
 ლოში ძრავალი ტაძრები, რომელთ შორის უძეტესი
 სწილი მთლად არიან აქამომდე და განვითარების რა-
 გორც სიწრცით, ზგრეთვე არსიტექტურულის სამშენი-
 რებით. ამ გვარნი არიან ძვალთებრ: დიდი სიონის
 ეკლესია ატენის სეობაში, გარდა ამისა საყდრები — ზარზმა,
 ნიკორწმინდა, კაცხი, წიმოეთი, სამთავისი, აშურისნი
 და ქუთუდას კეტეკერი. ბაგრატ მეოთხის დროსვე დას-
 რულდა დიდ-მშენიერი ქუთაისის ეკლესია, რომელიც
 იყუო იმისმა შინაშა ბაგრატ მესამემ და რომლის ნაშთნიც
 თვით აწინდელს თავის მდგომარეობაში აღმოგენ გან-
 საგუთრებულს ყურადღებას მოგზაურისას. თითქმის
 ყველა ეს ეკლესია შემკულია შესანიშნავის წარწერებით,
 რომელნიც ბაგრატს მიაწერენ სეკასტოსის და ნობილისნი-
 მის ღირსებას, უწოდებენ იმას მეფეო მეფედ ანუ თვით
 მშეობულად აფსაზთა, ქართველთა, სომეხთა და კასელ-
 თა; მისთვისებენ ზგრეთვე მთელის აღმოსავლეთის
 კურუმანდატის კბიტესა. ბაგრატმავე დააფუძნა იერუ-
 სალიძში განთქმული ჭკარის მონასტერი, რომელიც ახლაც
 მთლად არიან და თუძცა ჩაკარდა ბერძნების სელში,
 მაგრამ აქამომდე ჭიფლობს წაგუთარს მამულს საქართვე-
 ლოში.



იბეჭდება შემდეგი ისტორიული წიგნები.

დ. ზ. ბაქრაძისა

1 სხალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებზე და ხვენი ტომის დასაწყისზე.

2 უძველეს განათლებულ ტომთ ცნობანი ხვეს მსარზე.

3 ქართლის ცხოვრება და იმისი თავ-და-პირველი ცნობანი.

4 სპარსების გაკლესა მკელად საქართველოზე და პირველი საქართველოს მეფე ივანეზაძის.

5 ზონტის მეფე მიტრიდატ დიდი

6 კერპთ-მსახურება და ანდრია მოციქულის ქადაგება საქართველოში და სხვანი იმ დროის დიანს სხსნოვანნი ცნობანი.

